

ლადო პაპავა: “ივანიშვილი თუ თავისი ჯიბიდან დაიწყებს პენსიების დარიგებას, შეცდომა იქნება”

გაზეთი “ახალი თაობა” – 6 ნოემბერი, № 264, 2012.

ეკომომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ლადო პაპავა მიხეილ სააკაშვილის მხრიდან რევანშის მცდელობას არ გამორიცხავს. პაპავა იმ ვადებსაც ასახელებს, როცა ბიძინა ივანიშვილი და „ქართული ოცნება“ ოპოზიციაში გადასული პრეზიდენტის შემოტევებს უნდა ელოდოს. ექსპერტი დარწმუნებულია, რომ სააკაშვილი რევანშისთვის ნაბიჯებს უკვე დღეს დგამს და შემთხვევითი მისი მხრიდან არც თანაგუნდელებისთვის დიპლომატიური პასპორტების ვადის გახანგრძლივებაა.

როდის გეგმავს სააკაშვილი და მისი გუნდი რევანშს ივანიშვილზე და რა რჩევას აძლევს ყოფილი ეკონომიკის მინისტრი ივანიშვილის მთავრობას სოფლის მეურნეობის გაუმჯობესების კუთხით მიცემული პირობის ეფექტიანად შესრულებისთვის? – ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს პროფესორ ლადო პაპავასთან.

– ბატონო ლადო, მართალია, კოალიცია „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაში ჯერ ახალი მოსულია და კრიტიკისგან ბევრი თავს იკავებს, მაგრამ ბიძინა ივანიშვილის მიერ უმცირესობასთან იმის თქმამ, რომ რიგ მიმართულებებს ის პირადად დააფინანსებს, კითხვები გააჩინა. ხომ არ გამოიწვევს მსგავსი დამოკიდებულება შემდგომში სერიოზულ პრობლემებს და სწორია, როცა პრემიერ-მინისტრი საკუთარი ფინანსებით გეგმავს სახელმწიფო პროექტების დაფინანსებას?

– დავიწყოთ კრიტიკისგან თავშეკავების საკითხით. როცა ხელისუფლებაში ახალი გუნდი მოდის მას დასავლური ტრადიციით 100 დღეს აძლევენ. პირველი 100 დღის განმავლობაში ცდილობენ არ გააკრიტიკონ, მისცენ მუშაობის საშუალება და მერე ხდება პირველი შედეგების განხილვა-გაანალიზება. შეიძლება ითქვას, ჩვენ იმის ფუფუნების საშუალება არა გვაქვს, რომ 100 დღე ველოდოთ, მაგრამ არის მეორე მომენტიც რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია – მიხეილ სააკაშვილი როგორც

პოლიტიკური საფრთხე დასრულებული არ არის. დღეს ნებისმიერი ქრიტიკა „ქართული ოცნების“ მისამართით, ეს არის პრაქტიკულად სააკაშვილის წისქვილზე წყლის დასხმა. აქედან გამომდინარე ამ ქრიტიკასაც კარგად გააზრება სჭირდება კონსტრუქციული რომ გამოვიდეს და თანაც ქრიტიკოსი თუნდაც უნგბლიერ სააკაშვილის სამსახურში რომ არ ჩადგეს. მე ხშირად ხაზს ვუსვამ, რომ ქვეყანაში არის რევანშის საფრთხე. ზოგს ეს ძალიან მარტივად წარმოუდგენია და ფიქრობს, რომ დამარცხებულ პარტიას რატომ არ უნდა უნდოდეს ხელისუფლებაში დაბრუნება. დამარცხებულ პარტიას, თუკი ის მართლა პარტიაა, აუცილებლად უნდა უნდოდეს ხელისუფლებაში დაბრუნება მორიგ არჩევნებში გამარჯვების გზით. მაგრამ, როცა მე რევანში ვლაპარაკობ, ნამდვილად არ ვგულისხმობ იმას, რომ შემდეგი საპარლამენტო არჩევნები, რომელიც კონსტიტუციურად 2016 წელს უნდა ჩატადეს, მაშინ ნაციონალურ მოძრაობას მორალური უფლება არ აქვს გამარჯვება არ უნდოდეს. ნაციონალური მოძრაობა თუ მართლა პარტიაა, ის არ დაიშლება არც 2016 წლისთვის. თუმცა არსებოს ობიექტიური ეჭვი, რომ თუ სააკაშვილი პოლიტიკას დატოვებს არც ნაციონალური მოძრაობიდან დარჩება რაიმე. მაგრამ თუ ის დარჩა, როგორც პარტია, მას უნდა უნდოდეს შემდგომ საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვება. მე ამას ნორმალურ პოლიტიკურ პროცესად ვთვლი და არა რევანშად. რევანში სხვა რამეს ვეძახი. რევანშია სწორედ ის, სააკაშვილმა რომ განაცხადა, როცა 2 ოქტომბერს ადიარა საპარლამენტო არჩევნები წავაგეო და ოპოზიციაში გადავდივარო. წარმოგიდგენიათ პრეზიდენტი ოპოზიციაში? ვის ოპოზიციაში გადავიდა? საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობის ოპოზიციაში, რომელმაც „ქართულ ოცნებას“ მისცა ხმა? გამოდის, რომ სააკაშვილი საკუთარი ხალხის ოპოზიციაში გადავიდა. და კიდევ ერთი: მახსოვს სააკაშვილის 2009 წლის განცხადება, მე რომ ვიყო ოპოზიციაში, ამ ხელისუფლებას (საკუთარ ხელისუფლებაზე თქვა) 3 თვეში ჩამოვადგებდიო. როცა ეს განცხადება გვახსოვს, სააკაშვილის სტილი ვიციო და ის იძახის, ოპოზიციაში გადავედიო, ბუნებრივია, ჩვენ ყველას გვაქვს იმის განცდა, რომ სააკაშვილი რევანშისათვის ემზადება. რევანშის მოლოდინი, რა თქმა უნდა, 3 თვეზე გაწერილი ვერ იქნება. ეს სავარაუდოდ უფრო 6 თვეზეა გაწერილი.

– რატომ ექვს თვეზე?

– იმიტომ, რომ ამას საკონსტიტუციო ვადები არეგულირებს. საპარლამენტო არჩევნებიდან 6 თვის განმავლობაში და საპრეზიდენტო არჩევნებამდე ბოლო 6 თვის

განმავლობაში პრეზიდენტი ვერ დაითხოვს პარლამენტს. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ საპარლამენტო არჩევნები 1 ოქტომბერს იყო და საპრეზიდენტო ოქტომბრის ბოლოს იქნება, ჩნდება მეშვიდე თვე აპრილის ბოლო და მაისის პირველი ნახევარი, სადაც პრეზიდენტს უფლება აქვს პარლამენტი დაითხოვოს. მაგრამ პარლამენტი რომ დაითხოვოს, მას სჭირდება იმის განცდა, რომ ვადამდელი არჩევნები თუ დანიშნა, ამას მოსახლეობა დადგებითად შეხვდება და აღარ მისცემს ივანიშვილის „ქართულ თცნებას“ მხარს იმის გამო, რომ 6 თვის განმავლობაში თავი ვერაფერს გაართვა და მხარს სააკაშვილის ნაციონალურ მოძრაობას დაუჭერს. აი, ამ რევანშზე ვლაპარაკობ და არა იმაზე, რომ 2016 წელს თუ ნაციონალური მოძრაობა იარსებულის, მას აქვს ყველანაირი პოლიტიკური უფლება არჩევნებში მონაწილეობა მიიღოს და გაიმარჯვებაზე იფიქროს. აი, ეს საფრთხე გვაქვს დღეს ჩვენ და მისი რეალური ნიშნები უკვე გამოიკვეთა. ამაზე თვალი ნამდვილად არ უნდა დავხუჭოთ. ვინმეს ახსოვს საქართველოში ერთდროულად ამდენი გაფიცვა? ამდენი შეჭრა შენობებში? დღეს ყველა საინფორმაციო ბლოკი გადავსებულია ინფორმაციით, რომ პროლეტარიატმა გაიღვიძა, რომ გაფიცულია მაღაროელები, ფოთის პორტის თანამშრომლები, ანუ დესტაბილიზაციის პროცესი გვაქვს სახეზე.

– თქვენი აზრით, ეს მართული პროცესია?

– არის თუ არა ეს სრულად მართული, ამის თქმა შეუძლებელია. ეს შეიძლება სპონტანურადაც ხდებოდეს იმიტომ, რომ გარკვეულად ჩაგრულ ხალხს, დავუშაოთ, ფოთის პორტიდან გათავისუფლებულ ადამიანებს გაუჩნდა იმედი იმისა, რომ შეიძლება სამართლიანობა აღდგეს და დაბრუნდეს ახალი ხელისუფლების მოსვლასთან ერთად. იმ შეჭირვებულ ხალხს, რომლებსაც ბინები არ აქვთ, გაუჩნდათ იმის იმედი, რომ სააკაშვილის მთავრობა რომ ასე აგრესიულად სცემდა და ავიწროებდა მათ, ახალი მთავრობა ამას აღარ გააკეთებს. “პროტესტანტები” განსაკუთრებით გააქტიურდნენ მაშინ, როცა სააკაშვილის მთავრობა უკვე ფორმალურად იყო (იცოდნენ, რომ რამდენიმე დღე ჰქონდათ, თანაც რამდენიმე გაქცეული მინისტრის ფონზე) და ამ დროს ივანიშვილის მთავრობა ჯერ მოსული არ იყო. ივანიშვილის მთავრობაში დღესაც არ არის საკადრო დანიშვნები სრულად განხორციელებული. აი, ამ ფონზე გახშირდა შეჭრები და საპროტესტო გამოსვლები. ამიტომ შეიძლება აქ იყოს ნაწილი ხალხის, რომელსაც იმედი გაუჩნდა, რომ ეგებ მეშველოს და ჩემი პრობლემები გადავწყვიტო, მაგრამ ჩვენ ყველას გვაქვს უფლება,

რომ ვიფიქროთ – ეს პროცესი არის მართული. პროცესები არის მართული იქედან გამომდინარე, რომ სააკაშვილმა თქვა მივდივარ ოპოზიციაში, რომ სააკაშვილმა გააკეთა რამდენიმე დანიშვნა რეგიონების ხელმძღვანელების, მოუმატა მათ ხელფასის ზედა ზღვარი, ანუ სააკაშვილი პრაქტიკულად ორხელისუფლებიანობისაკენ მიდის. მართალია, ჯერჯერობით ეს ორხელისუფლებიანობა სუსტია, მაგრამ 6 თვე აქვს მას იმისათვის, რომ აჩვენოს – ივანიშვლის მთავრობა არ არის ისეთი წარმატებული და ის ოცნება, რომელიც ხალხს გაუზიდა არ არის ასრულებადი. თუ სააკაშვილმა დღევანდელი გადასახედიდან დანიშნა არჩევნები, ნაციონალური მოძრაობა იმაზე ნაკლებ ხმებს მიიღებს, ვიდრე დღეს აქვს, იქედან გამომდინარე, რომ მთელ რიგ რეგიონებში ეშინოდათ და ნაციონალებს ხმას აძლევდნენ იმიტომ რომ არ იცოდნენ რომ სხვანაირადაც შეიძლებოდა. ახლა რომ ნახეს, სხვანაირად შეიძლება, ვიდა მისცემს ხმას ნაციონალებს?! მაგრამ თუ სოციალური ფონი გამწვავდება, იქნება დიდი საპროტესტო მუხტი, თანაც ზამთარი მოდის, იტყვიან, აი, ივანიშვილმა და მისმა მთავრობამ თავი ვერ გაართვა და ადეკვატური საკადრო გადაწყვეტილები ვერ მიიღო, მაშინ ამ ფონზე სააკაშვილს უზიდება რევანშის შესაძლებლობა, რომ დანიშნოს არჩევნები და აი, აქედან გამომდინარე უნდა შევხედოთ რეალობას, რა საფრთხის წინაშე დგას ჩვენი ქვეყანა.

– ანუ ფიქროთ, რომ ლიდერი ნაციონალები საეჭვოდ მიყუჩდნენ და უპრობლემოდ ხელისუფლების გადაბარებას დროებით ახორციელებენ?

– ყველა გაჩუმებული არ არის, მაგალითად, ის პარლამენტარები, რომელთაც ქართული საზოგადოება სერიოზულად არც არასოდეს აღიქვამდა. ბევრმა ქვეყანა დატოვა. შაშკინი ეპისტოლარულ ჟანრში გადავიდა და ისიც კი თქვა, დავბრუნდებიო. მისი დაბრუნება-არდაბრუნება სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მას არ მოეთხოვოს იმ დარღვევებთან დაკავშირებით, რომელიც არის დაფიქსირებული მისი ხელმძღვანელობის დროს სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებში და რასაც დასჭირდება შესაბამისი გამოძიება და ობიექტური სასამართლო. მართალია რევანშის სუნი ქვეყანაში ჯერჯერობით მძაფრი არ არის, მაგრამ მაიც დგას. ამიტომ ამ ვითარებაში ტრადიციული მიდგომა, რომ 100 დღე არ უნდა აკრიტიკო მთავრობა პირობითია, იმიტომ, რომ ნებისმიერი სიტყვა „ქართული ოცნების“ საწინააღმდეგოდ, სააკაშვილის წისქვილზე დაასხამს წყალს. ერთ რამეს გავუსვამ ხაზს: 1 ოქტომბრის შემდეგ ნაციონალურ არხებს უცებ გავახსენდი – 4 წელი არ ვახსოვდი და ახლა ყველას ჩემი ჩაწერა მოუნდა და არა პირდაპირ ეთერში მიწვევა. ჩანაწერი კი შეიძლება ისე

დაჭრა, რომ „ქართული ოცნების“ საწინააღმდეგოდ გამოიყენონ და პრაქტიკულად სააკაშვილის სამსახურში ჩაგაყენონ. ამიტომ მე ყველა ნაციონალურ არხს ვუთხარი, ტურისტულ შეწუხდებიან, რადგან არავითარი მორალური უფლება არ აქვთ, რომ ჩემთან კონტაქტზე გამოვიდნენ. პრაქტიკულად ეს საინფორმაციო ველიც ამ რევანშის სამსახურშია ჩაყენებული.

– რადგან რევანშზე ვსაუბრობთ, ამას სააკაშვილის მხრიდან დიდი ფული და დასავლეთის მხარდაჭერა სჭირდება. ამას სააკაშვილი მიიღებს?

– არა მგონია, დასავლეთიდან მხარდაჭერა პქონდეს სააკაშვილს. პირიქით. ჩვენ დიდი მადლობა უნდა ვუთხრათ, ამერიკის ადმინისტრაციას და კონკრეტულად აშშ-ის ახალ ელჩს, რომელმაც ლომის წილი შეასრულა იმაში, რომ სააკაშვილი იძულებული გამხდარიყო ედიარებინა ქართველი ხალხის არჩევანი. ეს ჩვენ ყველამ დაფინანსეთ, განსაკუთრებით 2 ოქტომბერს, აშშ-ის ელჩი თუ სენატორთან ერთად ეახლა ივანიშვილს და გამარჯვება მიუღოცა. მხოლოდ აქედან 1 საათის შემდეგ აღიარა სააკაშვილმა დამარცხება. ვხედავთ სააკაშვილი როგორ მიყუჩდა და პოზიციებს როგორ თმობს. აშკარაა, რომ აქ არის საგარეო ზეწოლა. მაგრამ სააკაშვლის მცდელობა რა არის: აჩვენოს, რომ ივანიშვილის მთავრობა არ არის წარმატებული და ივანიშვილის გუნდი ქვეყნის მართვას თავს ვერ ართმევს. ეს საპროტესტო გამოსვლები, შეჭრები ამის ფონს ქმნის.

– ხომ არ ფიქრობთ, რომ ივანიშვილს დიდი ფული აქვს და ამიტომ გაფიცულები ფიქრობენ, რომ მათ მიერ მოთხოვნილი თანხები მან უნდა აანაზღაუროს.

– კამათს იწვევს ივანიშვილის მიერ ფულის ჩადება-არჩადება ქვეყანის ეკონომიკაში. ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ იქნება ეს ორგანიზებული. საქართველოს აძლევს გრანტს დავუშვათ მსოფლიო ბანკი სოფლის მეურნეობის პრობლემის გადასაწყვეტად. უარი უნდა ვთქვათ? რა თქმა უნდა, არა. თუ კერძო პირი იძლევა გრანტს და ეს არის გამჭვირვალე, და საზოგადოებას შეუძლია სრული მონიტორინგი განახორციელოს, რა განსხვავებაა მაშინ? დღეს არის მთელი რიგი საკითხები გადასაწყვეტი, რომელსაც შეიძლება ბიუჯეტი არ ეყოს. ივანიშვილი თუ თავისი ჯიბიდან დაიწყებს პენსიების დარიგებას და მე მგონი, ამას არ იზამს, ეს იქნება შეცდომა იმიტომ, რომ მისი ფული არაფერს ეყოფა. მაგრამ სასოფლო-სამეურნეო ფონდი, თუ ის შეიქმნება, ჯობია იყოს სხვადასხვა დონორების მიერ დაფინანსებული პროექტი (აქ შეიძლება საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებიც

იყვნენ ჩართული). დავუშვათ, ივანიშვილმა „ქართუ ფონდის“ საშუალებით მიიღო მონაწილეობა. თუ ეს პროცესი იქნა გამჭვირვალე და ეს არ იქნა პრემიერის ბიზნესი, მაშინ, რატომ არ შეიძლება?! თუ ისევ ისე წავიდა, რომ გლეხებს დიზელის საწვავს დაურიგებენ, რის გამოც სააკაშვილს ვაკრიტიკებდი, ეს ივანიშვილის შეცდომა იქნება. ეს ფონდი გამოყენებულ უნდა იქნეს ისეთი სამუშაოების განსახორციელებლად, რომლის გარეშეც სოფლის მეურნეობა ვერ განვითარდება, როგორიც არის ვთქვათ, მელიორაცია. რაც მთავარია, ამ ფონდის გამოყენებას ვხედავ შემდეგი მიმართულებით: გლეხმა უნდა შეძლოს ბანკიდან სესხის აღება და გირაოში ჩადოს არა თავის მიწა და სახლი, არამედ გარანტიად დაუდგეს ფონდი. თუ რადაც მიზეზთა გამო გლეხი ვალს ვერ დააბრუნებს, მაშინ მას ფონდი დაეხმარება. მიწა ბანკს არ სჭირდება. ფონდის გარანტორობა ბანკისთვისაც უკეთესია, გლეხისთვის კი ამოსუნთქვის საშუალებაა. სოფლის მეურნეობა ბანკის მხრიდან 20% კრედიტს ვერ აიტანს. აქ შეიძლება იყოს შემდეგი მიდგომა: გლეხის გადასახდელი იყოს წლიური 3-4%, ხოლო საბაზრო საპროცენტო განაკვეთის დანარჩენი სხვაობა ფონდმა გადაიხდოს. ამ შემთხვევაში გლებს პარტნიორი ჰყავს ფონდის სახით, რომელიც არის შუამავალი ბანკთან ურთიერთობაში და გლეხს დაეხმარება ისეთი პროექტის შემუშავებაში, რომელიც მისთვის წამგებიანი არ იქნება.

შორენა კოწოდაშვილი